ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლა, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრ(ებ)ი:

მარიამ იაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	222727958

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ადიგენის მუნიციპალიეტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ადიგენი, დაბა აბასთუმანი, რუსთველის ქ.№40
საფოსტო ინდექსი	0300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	dabaAbastumani@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 6 26 0000495186, 28.04.2026 წ.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 28 აპრილის MES 6 26 0000495186 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის გეგმიური მონიტორინგი, დოკუმეტების შესწავლით. სკოლის მიერ გადმოგზავნილი იქნა მონიტორინგის ფარგლებში შესამოწმებელი კომპონენტების მიმართებით სათანადო მტკიცებულებები.

გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ,,ა“ და ,,დ“ ქვეპუნქტის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
400	**134**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დასკვნის პროექტში ხარვეზი არ გამოვლენილა. სკოლის მიერ 2026 წლის 04 მაისის MES 4 26 0000622768 კორესპონდენციით წარმოადგინელი არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, დაწესებულება სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის რჩევებს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I და IV სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N 1.2.1.3.	*სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას*	*2024-2025 და 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სამოქმედო გეგმაში არ არის საკმარისად გამოკვეთილი კავშირი ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებთან, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე სასურველია, სკოლამ:* ➢ *შეიმუშაოს და სისტემურად გამოიყენოს შესაბამისობის მატრიცა და ანალიზის ფორმა, რომელიც ნათლად წარმოაჩენს კავშირს თვითშეფასების მონაცემებსა და*

		სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ პრიორიტეტებს შორის; ➢ *ჩართოს სკოლის განვითარების დადგემვის პროცესში ის პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ თვითშეფასების შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას.*
ინდიკატორი N 1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია*	*ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სამოქმედო გეგმაში შესრულების ინდიკატორების ჩამოყალიბების არსებული პრაქტიკა საჭიროებს არსებით გაუმჯობესებას, კერძოდ გეგმაში ინდიკატორად გამოყენებულია ოქმები, კურიკულუმი და სხვა ადმინისტრაციული დოკუმენტები, რაც ადასტურებს მხოლოდ იმას, რომ შეხვედრა გაიმართა ან დოკუმენტი შედგა და არა იმას, რა ხარისხის ცვლილება მოხდა პრაქტიკაში.* *აღნიშნულიდან გამომდნარე სკოლას მიეცა რჩევა:* *სამოქმედო გეგმაში შეიტანოს ხარისხობრივი ინდიკატორები, რომლებიც გაზომავს, სასკოლო პრაქტიკაში დანერგილი სიახლეების მდგრადობასა და ხარისხს. შესაძლებელს გახდის შეფასდეს, მიღწეული შედეგები რამდენად შეესაბამება თავდაპირველად დასახულ მიზანს.*

ინდიკატორი N 1.2.2.2	*მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით*	*სკოლას მიეცა რჩევა:* ➢ *სტრატეგიული გეგმის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად განსაზღვროს მონიტორინგისა და შეფასების მკაფიო ვადები.* ➢ *მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განიხილოს არა მხოლოდ ანგარიშვალდებულების, არამედ პრობლემების პროაქტიული იდენტიფიცირების ინსტრუმენტად. სასურველია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გაზომვა დაეყრდნოს მონაცემთა სხვადასხვა წყაროს: დოკუმენტაციას, დაკვირვებებს და გამოკითხვებს, რათა შეფასება იყოს სრულყოფილი. ობიექტური და სარწმუნო.*
ინდიკატორი N 1.2.2.4	*სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის*	*სასურველია სკოლამ დანერგოს ისეთი მექანიმზმები, რომელიც უზრუნველყოფს განხორციელებული საქმიანობების შედეგების სიღრმისეულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ანალიზს.*

სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N4.2.1.2.	*სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან*	*სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი შიდა სასკოლო მექანიზმების სისტემური, თანმიმდევრული გამოყენება და მიღებული შედეგების პერიოდული მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს ახალ სასწავლო გარემოში მოსწავლეთა უმტკივნეულო ინტეგრაციას, მათი ინდივიდუალური საჭიროებების ადრეულ ეტაპზევე იდენტიფიცირებას, პრევენციული ღონისძიებების დროულ გატარებასა და სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის ეფექტიან, ინკლუზიურ ჩართულობას*
ინდიკატორი N4.2.1.5	*სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას*	*სასურველია, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები კიდევ უფრო დაზუსტდეს და მასში მკაფიოდ გაიწეროს მოსწავლეების მხრიდან ინიციატივების/პროექტების წარდგენის, განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და მათზე რეაგირების კონკრეტული, გამჭვირვალე პროცედურული მექანიზმები და ვადები.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*	*რეკომენდაციების შესრულების სტატუსი*
N1.2.1.4.	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები,რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.*	*სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური).*	*შესრულებულია*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის (შემდგომში- სკოლა) მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაა ,,ისეთი ჯანსაღი, მრავალფეროვანი კულტურის, თანამშრომლობითი და უსაფრთხო გარემოს შექმნა, რომ შესაძლებელი გახდეს მოაზროვნე, მაძიებელი, ახლისშემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული, კონკურენტუნარიანი, წარმატებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური ღირებულებების შესაქმნელად.“

სკოლის ხედვაში ასახულია სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ, კერძოდ სკოლის ხედვაა ,, გახდეს ერთ-ერთი საუკეთესო რეგიონის სკოლათა შორის. ამ მიზნით სკოლის საქმიანობის ძირითადიმ იმართულებები იქნება:

- სკოლის ყველა საფეხურებზე, განათლების მაღალი ხარისხის სასკოლო კურიკულუმების შეთავაზება;
- თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისად, მოსწავლის თავისუფალ და წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე ზრუნვა.“

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიითა და ხედვით იკვეთება მოსწავლეთა უსაფრთხო, პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირების აუცილებლობა, რაც გარანტიას ქმნის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილი, რომლის შემუშავებისათვის სკოლას აქვს ჩატარებული გარკვეული სამუშაოები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი ჩართულია სკოლის ფილოსოფიის შემუშავების საკითხში. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლამ წარმოადგინა მისიის ხედვის და ღირებულებების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის თანახმად სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება ხდება სკოლის წინაშე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, სკოლის დირექცია შეიმუშავებს განვითარების სტრატეგიული მიზნების სამუშაო ვერსიას, რის შემდეგაც უზრუნველყოფს აღნიშნულის სკოლის სამეურვეო საბჭოზე განხილვასა და უკუკავშირის შეგროვებას. უკუკავშირის საფუძველზე ხდება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების საბოლოო რედაქციის შემუშავება. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროდ ხელმისაწყვდომობას. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები;
2. მისიის ხედვის და ღირებულებების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი
3. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა.
4. სკოლის ვებგვერდი (skolebi.emis.ge)

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი. რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. წარმოდგენილი დოკუმენტით, იფარება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები, მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.
ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, (2023 - 2030 წწ) რომელიც მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზანს და მიზნის მიღწევის გზებს. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, კერძოდ განსაზღვრულია დოკუმენტის განახლება/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ.
სტრატეგიული გეგმა თანხვედრაშია მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან და დგინდება აღნიშნულ დოკუმენტებთან შესაბამისობა. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.
ინდიკატორის მოითხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 წწ), რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას.

სამოქმედო გეგმაში თავს იყრის სტრატეგიული მიზნების და ამოცანების მისაღწევად საჭირო ის აქტივობები, რომლებიც ერთი წლის განმავლობაშია შესრულებადი. სამოქმედო გეგმა ემთხვევა სასწავლო წელს.
მოთხოვნა რასაც სტანდარტის ინდიკატორი უყენებს სკოლას არის, რომ სამოქმედო გეგმის შედგენისას სკოლა ერთი მხრივ უნდა ამოვიდეს სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან, ხოლო მეორე მხრივ, უნდა ითვალისწინებდეს ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებს.
2024-2025 და 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სამოქმედო გეგმაში არ არის საკმარისად გამოკვეთილი კავშირი ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებთან, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე **სასურველია, სკოლამ:**
ა) შეიმუშაოს და სისტემურად გამოიყენოს შესაბამისობის მატრიცა და ანალიზის ფორმა, რომელიც ნათლად წარმოაჩენს კავშირს თვითშეფასების მონაცემებსა და სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ პრიორიტეტებს შორის;
ბ) ჩართოს სკოლის განვითარების დადგემვის პროცესში ის პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ თვითშეფასების შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას.
ინდიკატორის მოითხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სამოქმედო გეგმაში შესრულების ინდიკატორების ჩამოყალიბების არსებული პრაქტიკა საჭიროებს არსებით გაუმჯობესებას, კერძოდ გეგმაში ინდიკატორად გამოყენებულია ოქმები, კურიკულუმი და სხვა

ადმინისტრაციული დოკუმენტები, რაც ადასტურებს მხოლოდ იმას, რომ შეხვედრა გაიმართა ან დოკუმენტი შედგა და არა იმას, რა ხარისხის ცვლილება მოხდა პრაქტიკაში.

აღნიშნულიდან გამომდნარე სკოლას მიეცა რჩევა:

სამოქმედო გეგმაში შეიტანოს ხარისხობრივი ინდიკატორები, რომლებიც გაზომავს, სასკოლო პრაქტიკაში დანერგილი სიახლეების მდგრადობასა და ხარისხს. შესაძლებელს გახდის შეფასდეს, მიღწეული შედეგები რამდენად შეესაბამება თავდაპირველად დასახულ მიზანს.

ინდიკატორის მოითხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
4. სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს დოკუმენტის მე-2 და მე-3 თავი რომლის თანახმადაც:

ა) შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სამეურვეო საბჭო ან ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

ბ) ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სკოლის სამეურვეო საბჭო.

სასწავლო წლის დასრულების შემდეგ უნდა შეჯამდეს სამოქმედო გეგმაში მითითებული აქტივობების შესრულება და შეფასდეს გეგმის განხორციელების შედეგები სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული მიმართულების მიხედვით. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამეურვეო საბჭოს, ანგარიშს წარუდგენს სკოლის დირექტორი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია არ განსაზღვრავს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების ვადებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე **სკოლას მიეცა რჩევა** სკოლის სტრატეგიული გეგმის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად განსაზღვროს მონიტორინგისა და შეფასების მკაფიო ვადები. ამჟამად მეთოდოლოგიაში აღნიშნული საკითხი არ არის დარეგულირებული რაც ართულებს პროცესის სისტემურ კონტროლსა და შედეგებზე დროულ რეაგირებას.

სკოლას განხორციელებული აქვს 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება. წარმოდგენილია სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია, მკაფიოდ ვერ პასუხობს კითხვებს, თუ: (ა) რა შეიცვალა სასკოლო საზოგადოებისთვის? (ბ) რა მტკიცებულება გვაქვს ამ ცვლილების დასადასტურებლად? (გ) როგორ გამოიყენებს სკოლა ამ გამოცდილებას მომავალი დაგეგმვის პროცესში?

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლის ხელმძღვანელობა ფოკუსირებულია საქმიანობების და თანმდევი დოკუმენტაციის წარმოებაზე, ვიდრე ამ საქმიანობების რეალური გავლენისა და შედეგების კრიტიკულ ანალიზზე.
სკოლას მიეცა რჩევა მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განიხილოს არა მხოლოდ ანგარიშვალდებულების, არამედ პრობლემების პროაქტიული იდენტიფიცირების ინსტრუმენტად. სასურველია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გაზომვა დაეყრდნოს მონაცემთა სხვადასხვა წყაროს: დოკუმენტაციას, დაკვირვებებს და გამოკითხვებს, რათა შეფასება იყოს სრულყოფილი. ობიექტური და სარწმუნო. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

2024-2025 წწ სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები არის საჯარო, კერძოდ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები სკოლას გამოქვეყნებლი აქვს ვებგვერდზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში) დასტურდება, რომ სკოლა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენებას სკოლის შემდგომი განვითარებისთვის, თუმცა დაგეგმვის პრაქტიკა საჭიროებს გაუმჯობესებას, კერძოდ არ ჩანს მკაფიო კავშირი წინა პერიოდის შეფასების დასკვნებსა და ახალი სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებს შორის, რაც სტანდარტის ინდიკატორის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა.
სასურველია სკოლამ დანერგოს ისეთი მექანიმზმები, რომელიც უზრუნველყოფს განხორციელებული საქმიანობების შედეგების სიღრმისეულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ანალიზს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი;
2. სკოლის ვებგვედრი (skolebi.emis.ge);
3. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის მიერ შემუშავებულია სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, მასში მოცემულია საკითხები მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. მოსწავლეთა თვითმმართველობის, როგორც სკოლის სტუქტურული ერთეულის მუშაობის მიზანი და პრინციპები. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესს. მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა განსაზღვრულია მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულებით.
სკოლის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი, სადაც განთავსებულია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის სკოლის შინაგანაწესი და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 6 ერთი პრიმა პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
2. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
3. მშობელთა კრების ოქმი N1;
4. სკოლის ვებგვერდი: https://l1nq.com/m6wynez (skolebi.emis.ge)

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს "მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის განხორციელების წესი", სადაც დეტალურადაა გაწერილი მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის, საფეხურის დაძლევის მექანიზმები. დოკუმენტი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისიტრაციულ-სამართლებრივი აქტები/ბრძანებები) ადასტურებს, რომ სკოლა სათანადოდ ახორციელებს შიდა რეგულაციებითა და კანონმდებლობით დადგენილ პროცედურებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

ინფორმაცია სასწავლო პროგრამების, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევის შესახებ განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე. გარდა ამისა, სკოლაში ტარდება მშობელთა კრებები, სადაც დამრიგებელი მშობლებს უშუალოდ აცნობს სასკოლო რეგულაციებს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა ინფორმაციას აზიარებს Facebook გვერდისა და ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N17 მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;
2. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N118 მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ;
3. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N119 მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ;

4. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N65 მოსწავლის ამორიცხვის შესახებ;
5. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N57 მოსწავლის სტატუსის აღდგენის შესახებ;
6. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N45 მოსწავლის ამორიცხვის შესახებ;
7. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N40 მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ;
8. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N28 პირველ კლასში მოსწავლეების ჩარიცხვის შესახებ;
9. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N4 მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ;
10. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N43 მოსწავლის ამორიცხვის შესახებ;
11. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N83 მოსწავლის ამორიცხვის შესახებ;
12. სკოლის ვებგვერდი: (skolebi.emis.ge)
13. სკოლის Facebook გვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=61569188217391

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში მოქმედებს პირველკლასელთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის ინსტიტუციონალური მექანიზმი, რომელიც ეფუძნება წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ ტრანზიციის გეგმას. დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს პროცესში ჩართული მხარეების უფლება-მოვალეობებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობის ფარგლებს. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პირველკლასელთა ტრანზიციის პროცესში მოსწავლის საჭიროებების განსაზღვრის ფორმები და ვალიდური ინსტრუმენტები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის დირექტორის ბრძანებით იდენტიფიცირებულია და მოქმედებს პირველკლასელთა ტრანზიციის ხელშემწყობ პირთა სამუშაო ჯგუფი. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, დასტურდება, რომ პრაქტიკაში გამოიყენება მოსწავლის ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმისა და საჭიროებათა კვლევის ფორმები.

სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი შიდა სასკოლო მექანიზმების სისტემური, თანმიმდევრული გამოყენება და მიღებული შედეგების პერიოდული მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს

ახალ სასწავლო გარემოში მოსწავლეთა უმტკივნეულო ინტეგრაციას, მათი ინდივიდუალური საჭიროებების ადრეულ ეტაპზევე იდენტიფიცირებას, პრევენციული ღონისძიებების დროულ გატარებასა და სასწავლო პროცესში თითოეული ბავშვის ეფექტიან, ინკლუზიურ ჩართულობას.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლაში დანერგილია რემედიაციის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა დამატებით ხელშეწყობას სწავლის ფუნდამენტური უნარების ათვისების კუთხით არსებული სირთულეების აღმოფხვრაში. საჭიროების შემთხვევაში, მშობელთან თანამშრომლობით, სკოლა შეიმუშავებს ინდივიდუალურ რემედიაციის გეგმას და ახორციელებს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ აკადემიურ მხარდაჭერას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი აქტები და დოკუმენტაცია, რაც სრულად უზრუნველყოფს სასკოლო პროცესების გამჭვირვალობას, საჯაროობასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ამასთან, შიდა სასკოლო რეგულაციების შესაბამისად, იდენტიფიცირებულია დამრიგებლის ვალდებულება მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა დროული ინფორმირების შესახებ სკოლაში მოქმედი წესებისა და პროცედურების თაობაზე.
მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმების ანალიზით (მაგალითად, მეორე უცხო ენის შერჩევის პროცესთან დაკავშირებით) დასტურდება, რომ დაწესებულება ხელს უწყობს მოსწავლის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და ინტერესების რეალიზებას დადგენილ ვადებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი, რომლის მიხედვითაც, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალის მიერ ხორციელდება მოსწავლეთა იდეებისა და ინიციატივების წახალისება, მენტორობა და თანადგომა. მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული აქტივობების ამსახველი ფოტომასალით დასტურდება, რომ სკოლაში არსებობს მოსწავლეთა ინიციატივების ხელშეწყობის პრაქტიკა. კერძოდ, დაწესებულებაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის კურატორობით), რომელსაც გააჩნია საკუთარი დასახელება, წესდება და განსაზღვრული აქვს საქმიანობის კონკრეტული სფერო.

ამასთანავე, წარმოდგენილია ინფორმაცია სხვადასხვა სასკოლო პროექტების შესახებ, კერძოდ:

- პროექტი „რელიგიური მრავალფეროვნების აღწერა“: განხორციელდა კულტურული მრავალფეროვნების ძეგლების დაცვისა და პოპულარიზაციის საჭიროებათა კვლევა;
- პროექტი „ქვათა ღაღადი“: განხორციელდა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნობრივი საჭიროებების კვლევა.

გარდა ზემოაღნიშნულისა განხორციელებულია სხვა სასკოლო პროექტებიც, რომლითაც დასტურდება მოსწავლეთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით მსგავსი პროექტების განხორციელება ქმნის პოზიტიურ, ინკლუზიურ სასწავლო გარემოს და ადასტურებს, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეზე მიმართული, მრავალფეროვანი და მხარდამჭერი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფაზე.

სასურველია, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები კიდევ უფრო დაზუსტდეს და მასში მკაფიოდ გაიწეროს მოსწავლეების მხრიდან ინიციატივების/პროექტების წარდგენის, განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და მათზე რეაგირების კონკრეტული, გამჭვირვალე პროცედურული მექანიზმები და ვადები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლეებისაგან და მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და აფასებს მათ. მიღებული შეფასების საფუძველზე სკოლა გეგმავს მოსწავლეთა მომსახურების მექანიზმების გაუმჯობესებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
2. სკოლის ვებგვერდი: https://l1nq.com/m6wynez (skolebi.emis.ge)
3. მშობელთა კრების ოქმი N1;
4. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N16 რემედიაციის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
5. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N6 ტრანზიციის გეგმის დამტკიცების შესახებ;
6. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N57 ტრანზიციის გეგმის დამტკიცების შესახებ;
7. კლუბის წესდება;
8. კლუბის სამუშაო გეგმა;
9. განაცხადის ფორმა კლუბში გაწევრიანების მსურველთათვის;
10. განხორციელებული სასკოლო პროექტები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის სასწავლო პროცესის რეგულირების დოკუმენტის თანახმად, კლასის დამრიგებელი აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ თვითგამორკვევასა და სამომავლო არჩევანის მხარდაჭერას. სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ასტროფიზიკის ობსერვატორიასა და კოლეჯ „ოპიზართან“ გაფორმებული მემორანდუმები ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება მიზანმიმართულად ზრუნავს მოსწავლეთა კარიერულ დაგეგმვასა და პროფესიულ განვითარებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს, რომ დამრიგებელმა, როგორც შუამავალმა რგოლმა, ოპერატიულად მიაწოდოს მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს სანდო და განახლებული ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა ხარისხის გაუმჯობესების პროცესს გეგმავს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგების მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
2. სკოლის ვებგვერდი: https://l1nq.com/m6wynez (skolebi.emis.ge)

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, შესრულების ვადები და მასზე პასუხისმგებელი პირები. პროცესში ჩართულები არიან: ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, სპეციალური მასწავლებელი, საგნის მასწავლებლები, მშობლები და ადმინისტრაცია.
სკოლაში ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი, რა დროსაც ფასდება მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი და მუშაობის ეფექტურობა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმაში გაწერილი აქტივობები ითვალისწინებს როგორც ადმინისტრაციის მხრიდან შესასრულებელ საქმიანობებს, ისე პედაგოგიური საბჭოს ჩართულობას. ისგ ჯგუფის ოქმი ადასტურებს, რომ პროცესში ჩართულია როგორც სსსმ მოსწავლის ყველა მასწავლებელი, ისე მისი კანონიერი წარმომადგენელი/მშობელი.

სკოლის შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის მიხედვით, შეფასება ეფუძნება საგნის მასწავლებლებთან, სპეციალურ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და მშობლებთან გასაუბრებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N69 ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
2. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N71 ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დამტკიცების შესახებ;
3. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N66 ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ;
4. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N64 ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ;
5. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N63 ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ;

6. სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N6 სკოლის ტრანზიციის გეგმის დამტკიცების შესახებ;
7. ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი 1;
8. ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი 2;
9. სპეციალური მასწავლებლის ანგარიში;
10. ინტერვენციის გეგმა ქართულში;
11. ინტერვენციის გეგმა მათემატიკაში;
12. ისგ (ქართული).

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლა ამ ეტაპზე ინდიკატორით განსაზღვრულ დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას არ ახორციელებს. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლა ამ ეტაპზე ინდიკატორით განსაზღვრულ დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას არ ახორციელებს. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესები**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლა ამ ეტაპზე ინდიკატორით განსაზღვრულ დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას არ ახორციელებს. **ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამებ

თარიღი: 28.05.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: